ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 216

"20" მაისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი №10-ის მიმდებარედ 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.014.018) პირდაპირი განკარგვის წესით, თეკლე ცხვედიანისთვის (პ/ნ. 01024051352) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა „ქ. თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი №10-ის მიმდებარედ 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.014.018) პირდაპირი განკარგვის წესით, თეკლე ცხვედიანისთვის (პ/ნ. 01024051352) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 23 აპრილის №25.648.740 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ქ. თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი №10-ის მიმდებარედ 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.014.018) პირდაპირი განკარგვის წესით თეკლე ცხვედიანისთვის (პ/ნ. 01024051352) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, კიბის ფუნქციონირების მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 576 (ხუთას სამოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე